



21-ე განყოფილება
ანარჩხები, პირობითი
ვალდებულებები და
პირობითი აქტივები

განსახილველი საკითხები

- მოქმედების სფერო
- თავდაპირველი აღიარება
- თავდაპირველი შეფასება
- შემდგომი შეფასება
- პირობითი ვალდებულებები
- პირობითი აქტივები
- განმარტებითი შენიშვნები
- სრულ ფასს-თან შედარება

მოქმედების სფერო

ანარიცხი არის ვალდებულება, რომლის დაფარვის ვადა ან ოდენობა გაურკვეველია (რომელიც აკმაყოფილების ვალდებულების აღიარების კრიტერიუმს) + წამგებიანი კონტრაქტები

წინამდებარე განყოფილება გამოიყენება ყველა სახის ანარიცხის, პირობითი ვალდებულებისა და პირობითი აქტივის აღრიცხვისათვის, გარდა ანარიცხებისა რომლებიც დაკავშირებულია:

- (ა) იჯარასთან (იხ. მე-20 განყოფილება). თუმცა, წინამდებარე განყოფილება არეგულირებს, წამგებიან ჩვეულებრივ იჯარას;
- (ბ) სამშენებლო ხელშეკრულებებთან (იხ. 23-ე განყოფილება); თუმცა, წინამდებარე განყოფილება არეგულირებს, წამგებიან სამშენებლო ხელშეკრულებებს;
- (გ) დაქირავებულ პირთა გასამრჯელოებთან (იხ. 28-ე განყოფილება);
- (დ) მოგების გადასახადთან (იხ. 29-ე განყოფილება).

თავდაპირველი აღიარება

საწარმომ ანარიცხი უნდა აღიაროს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც:

- (ა) საწარმოს საანგარიშგებო თარიღისთვის აქვს ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნა წარსული მოვლენის შედეგად (კანონმდებლობით გათვალისწინებული იურიდიული ვალდებულება, ან კონსტრუქციული ვალდებულება);
- (ბ) მოსალოდნელია (უფრო შესაძლებელია მისი მოხდენა, ვიდრე არმოხდენა - ალბათობა > 50%), რომ ვალდებულების დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკური სარგებლის გასვლა საწარმოდან; და
- (გ) შესაძლებელია ვალდებულების სიდიდის საიმედოდ შეფასება.

ანარიცხი აღიარდება, როგორც ვალდებულება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში და ხარჯი მოგებაში ან ზარალში, თუ ამ სტანდარტის სხვა განყოფილება არ მოითხოვს მისი ღირებულების ასახვას აქტივის თვითღირებულების შემადგენელი ნაწილის სახით (მაგ ძირითადი საშუალებები, ან მარაგი).

თავდაპირველი შეფასება

- თანხა, რომელსაც საწარმო აღიარებს ანარიცხად, უნდა იყოს იმ თანხის საუკეთესო შეფასება, რომელიც აუცილებელი იქნება ამ ვალდებულების დასაფარად საანგარიშგებო თარიღისათვის ანუ თანხა, რასაც საწარმო, გონივრულ ფარგლებში, დახარჯავდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ვალდებულების დასაფარად, ან ამ ვალდებულების მესამე მხარისთვის გადასაცემად ამ თარიღისათვის:
 - მრავალრიცხოვანი ელემენტები - საშუალო შეწონილი სიდიდე
 - ერთი ვალდებულებიდან - ყველაზე მეტად მოსალოდნელი ინდივიდუალური შედეგი
- წამგებიანი კონტრაქტი უნდა შეფასდეს იმ თანხით რითაც კონტრაქტის შეწყვეტის ხარჯი აღემატება კონტრაქტიდან მოსალოდნელი ეკონომიკურ სარგებელს.

თავდაპირველი შეფასება

- როდესაც ფულის დროითი ღირებულების გავლენა არსებითია, ანარიცხის ოდენობა = ვალდებულების დასაფარად საჭირო მოსალოდნელი თანხის დღევანდელი ღირებულებას.
 - დისკონტირების განაკვეთი = დაბეგვრამდე განაკვეთი, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების მიმდინარე საბაზრო შეფასებებს.
 - ვალდებულებასთან დაკავშირებული რისკები გათვალისწინებული უნდა იყოს ან დისკონტირების განაკვეთის, ან ვალდებულების დასაფარად საჭირო თანხის შეფასების დროს.
- საწარმომ ანარიცხის შეფასებიდან უნდა გამორიცხოს აქტივის შესაძლო გასვლიდან მისაღები მოსალოდნელი შემოსულობა.
- როდესაც მოსალოდნელია, რომ ანარიცხის დასაფარად საჭირო მთლიან თანხას (ან მის ნაწილს) მესამე მხარე აანაზღაურებს, საწარმო ცალკე აქტივად აღიარებს კომპენსაციას თუ, ფაქტობრივად გარკვეულია რომ საწარმო მიიღებს მას. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში უნდა აისახოს, როგორც აქტივი და არ უნდა მოხდეს მისი გადაფარვა ანარიცხით. სრული შემოსავლის ანგარიშგებაში საწარმოს უფლება აქვს, სხვა მხარისგან მისაღები კომპენსაციის თანხა გადაფაროს ანარიცხთან დაკავშირებული ხარჯით.

შემდგომი შეფასება

- საწარმომ ანარიცხის საპირისპიროდ უნდა ასახოს მხოლოდ ის ხარჯები, რისთვისაც თავდაპირველად აღიარდა ანარიცხი.
- საწარმომ ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის უნდა გადახედოს ანარიცხებს და საჭიროების შემთხვევაში დააკორექტიროს ისინი. კორექტირების თანხა უნდა აღიარდეს მოგებაში ან ზარალში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ანარიცხი თავდაპირველად აღიარებული იყო სხვა აქტივის თვითღირებულების შემადგენელ ნაწილად.
- როდესაც ანარიცხი შეფასებულია ვალდებულების დასაფარად საჭირო მოსალოდნელი თანხის დღევანდელი ღირებულებით, დისკონტის პოზიციის დახურვა უნდა აისახოს, როგორც ფინანსური დანახარჯი იმ პერიოდის მოგებაში, ან ზარალში, როდესაც ის წარმოიშობა.

მაგალიტი – ანარიცხების შეფასება

12

მაგ 1(14). 31/12/2018 საწარმოს ჰქონდა გარანტიით გაყიდული 1,000 ერთეული პროდუქცია. საწარმო შეაკეთებს ყველა დეფექტს, რაც გაყიდვიდან 6 თვის განმავლობაში დაფიქსირდება.

ალბათობა და შეკეთების დანახარჯები:

- ძირითადი დაზიანება = 5% ალბათობა 400 ფე შეკეთების ხარჯი
- უმნიშვნელო დაზიანება = 20% ალბათობა 100 ფე შეკეთების ხარჯი
- 75% ალბათობა რომ იქნება უდეფექტო

რა თანხით უნდა შეაფასოს საწარმომ ანარიცხი?

$$40,000 \text{ ფე} = (75\% \times 1,000 \times 0) + (20\% \times 1,000 \times 100 \text{ ფე}) + (5\% \times 1,000 \times 400 \text{ ფე})$$

მაგალიტი - ანარიცხების შეფასება

13

მაგ 2(15). მომხმარებელმა საწარმოს წინააღმდეგ შეიტანა პირადი დაზიანების სარჩელი. გამოცდილი ადვოკატების შეფასებით სასამართლო მომხმარებელის სასარგებლოდ საწარმოს დააკისრებს:

- 30% ალბათობით 2,000,000 ფე და
- 70% ალბათობით 300,000 ფე

მოსალოდნელია რომ გადაწყვეტილება 2 წლის შემდეგ იქნება ცნობილი. დისკონტირების განაკვეთი წლიურად 4%-ია.

რა ღირებულებით უნდა შეაფასოს საწარმომ ანარიცხი 31/12/2018-ს?

მოსალოდნელი ღირებულება: $(30\% \times 2,000,000 \text{ ფე}) + (70\% \times 300,000 \text{ ფე}) = 810,000 \text{ ფე}$.

დღევანდელი ღირებულება = $810,000 \text{ ფე} \times (1/1.04) \times (1/1.04) = 748,891 \text{ ფე}$.

მაგალითი – ანარიცხების შეფასება

14

მაგ 3(25).

31/12/2018 სარჩელის გამო შექმნილი ანარიცხი = 40,000 ფე.

31/12/2018-თვის გადაფასდა 90,000 ფე-მდე. 50,000 ფე ზრდიდან 3,000 ფე გამოწვეულია დისკონტის პოზიციის დახურვით, ხოლო დანარჩენი უკეთესი ინფორმაციის ხელმისაწვდომობით.

როგორ უნდა ასახოს საწარმომ ანარიცხის ზრდა?

50,000 ფე-იანი ზრდა აღიარებული იქნება როგორც ხარჯი 2018 წლის მოგებისა და ზარალის განსაზღვრისას:

- 3,000 ფე = ფინანსური ხარჯი, და
- 47,000 ფე = სარჩელის გამო ხარჯი

პირობითი ვალდებულებები

- პირობითი ვალდებულება არის:
 - შესაძლო, მაგრამ გაურკვეველი ვალდებულება (აღბატობა $\leq 50\%$); და
 - ვალდებულება რომლის დაფარვის ვადა ან ოდენობა გაურკვეველია (ვერ აკმაყოფილებს ვალდებულებად აღიარების კრიტერიუმს).
- საწარმომ პირობითი ვალდებულება არ უნდა აღიაროს ვალდებულებად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ანარიცხი დაკავშირებულია საწარმოთა გაერთიანების დროს შექმნილი საწარმოს პირობით ვალდებულებასთან;
- როდესაც საწარმოს გარკვეულ ვალდებულებაზე გააჩნია სოლიდარული პასუხისმგებლობა, პირობით ვალდებულებად მიიჩნევა ვალდებულების ის ნაწილი, რომელიც მოსალოდნელია, რომ დაიფარება სხვა მხარეების მიერ.

პირობითი აქტივები

- პირობითი აქტივი არ აღიარდება აქტივად.
 - თუმცა, იმ შემთხვევაში, როდესაც ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში ეჭვს არ იწვევს, მოცემული აქტივი არ წარმოადგენს პირობით აქტივს და მართებულია მისი აღიარება აქტივის სახით.
- როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში, ამ შემთხვევაში, ინფორმაცია პირობითი აქტივის შესახებ უნდა გამჟღავნდეს.

ანარიცხები

ანარიცხების თითოეული კლასისთვის უნდა გამჟღავნდეს (შესადარისი ინფორმაცია არ მოითხოვება):

- შეჯერება, სადაც ნაჩვენებია უნდა იყოს:
 - საბალანსო ღირებულება მოცემული პერიოდის დასაწყისისა და ბოლოსათვის
 - დამატებით შექმნილი ანარიცხები, მათ შორის კორექტირებები, რომლებიც გამოწვეულია დისკონტირებული თანხის შეფასების ცვლილებებით
 - ანარიცხების საპირისპიროდ მოცემულ პერიოდში დარიცხული გაწეული ხარჯები
 - გამოუყენებელი თანხები, რომლებიც მიმდინარე პერიოდში აღდგენილ იქნა უკუგატარებით
- ვალდებულების არსი, საწარმოდან ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელი გასვლა (მოცულობა და დრო)
- სარგებლის გასვლის მოცულობასა და დროსთან დაკავშირებული განუსაზღვრელობის ნიშნების აღწერა
- ნებისმიერი მოსალოდნელი კომპენსაციის თანხის ოდენობა (იმ აქტივის ღირებულების მითითებით, რომელიც აღიარდა ამ მოსალოდნელი კომპენსაციისთვის).

პირობითი ვალდებულებები

- თუ ვალდებულების დასაფარად საჭირო ეკონომიკური სარგებლის გასვლის მოსალოდნელობა არ არის უმნიშვნელო, საწარმომ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული პირობითი ვალდებულების თითოეული კლასისათვის უნდა წარმოადგინოს პირობითი ვალდებულების არსის მოკლე აღწერა, ხოლო როდესაც შესაძლებელია
 - ფინანსურ მარჯვენებლებზე მისი გავლენის შეფასება (ანარიცხების მსგავსად)
 - ეკონომიკური სარგებლის გასვლის მოცულობასა და დროსთან დაკავშირებული განუსაზღვრელობის ნიშნების აღწერა; და
 - ნებისმიერი კომპენსაციის შესაძლებლობა.
- თუ შეუძლებელია ზემოაღნიშნული მოთხოვნილი ინფორმაციიდან რომელიმეს ასახვა განმარტებით შენიშვნებში, თავად ეს ფაქტი უნდა დაფიქსირდეს.

მაგ 4(36).

შენიშვნა 30 პირობითი ვალდებულებები

მომხმარებელმა საწარმოს წინააღმდეგ სასამართლოში შეიტანა საწარმოს პროდუქტის გამოყენებით მიღებული პირადი ზიანის გამო. მომხმარებელი ითხოვს კომპენსაციას 2,000,000 ფე-ის ოდენობით. იურიდიულ კონსულტაციებიზე დაყრდნობით ხელმძღვანელობა მიიჩნევს რომ ბრალდება დაუსაბუთებელია და სასამართლო დავას საწარმოს სასარგებლოდ გადაწყვეტს. იმ შემთხვევაში თუ სასამართლო მოულოდნელად გამოიტანს საწარმოს გამამტყუნებელ განაჩენს, გადასახდელი კომპენსაცია სავარაუდოდ არ გადააჭარბებს 300,000 ფე-ს.

პირობითი აქტივები

- როდესაც ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში მოსალოდნელია (ალბათობა > 50%), მაგრამ ფაქტობრივად გარკვეული არ არის, უნდა გამჟღავნდეს:
 - საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული პირობითი აქტივების მოკლე დახასიათება, და
 - ასევე ამ ფინანსური შედეგის შეფასებაც (ანარიცხების შეფასებისთვის განსაზღვრული პრინციპების შესაბამისად), თუ ამ შეფასების განსაზღვრა შესაძლებელია მიზანშეუწონელი დანახარჯების, ან ძალისხმევის გარეშე.
- თუ ამგვარი შეფასების განსაზღვრა შეუძლებელია მიზანშეუწონელი დანახარჯების, ან ძალისხმევის გარეშე, მაშინ საწარმომ თავად ეს ფაქტი უნდა გაამჟღავნოს.

ზიანის მომტანი განმარტებითი შენიშვნები

- უკიდურესად იშვიათ შემთხვევებში, ყველა ან ზოგიერთი ინფორმაციის გამჟღავნებამ შესაძლებელია სერიოზული ზიანი მიაყენოს საწარმოს პოზიციას სხვა მხარეებთან დავაში.
- ასეთ შემთხვევებში, საჭირო არ არის ამ ინფორმაციის გამჟღავნება, მაგრამ საწარმომ უნდა აღწეროს დავის ზოგადი შინაარსი, მიუთითოს, რომ არა აქვს წარმოდგენილი მოთხოვნილი ინფორმაცია და ახსნას ამის მიზეზები.

შედარება სრულ ფასს-თან

22

- უფრო ადვილი ენით არის გადმოცემული, მოიცავს ნაკლებ მითითებებს აღრიცხვის პრინციპების გამოსაყენებლად.